ხელშეკრულება №324/19-4

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ზუგდიდი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

შპს „ენგურჰესი“, ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N8, ფაქტ. მდებარეობა: გალის რ-ნი, დას. საბერიო (საფ/მის: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მე-2 სართული, ენგურჰესის ოფისი) შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი - დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის - ლევან მებონიას სახით, რომელიც მოქმედებს კომპანიის წესდების შესაბამისად და

ი/მ „ლია გოგია“, იურიდიული მისამართი: ქ. ზუგდიდი, კედიას ქ. №21, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“ წარმოდგენილი, მეორეს მხრივ გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვების ჩატარების წესის მე-2 მუხლის ,,ა“ პუნქტის თანახმად ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „შემსყიდველი“ ავალებს,ხოლო „მიმწოდებელი“ ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს“ საკუთრებაში **- დანართ №1-ში მითითებული დასახელებისა და ოდენობის საქონელი.**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. სახელშეკრულებო თანხა შეადგენს : 187 (ასოთხმოცდაშვიდი) ლარს. ერთეულის ფასი მითითებულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

ბ) გადასცეს „შემსყიდველს“ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყონებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება ან შეცვალოს ახლით.

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

ბ) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება.

5. ხარისხი

5.1. საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს და ტექნიკურ მოთხოვნებს.

6. ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების განხორციელების დროს.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებს:შპს ,,ენგურჰესი“-ს შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის სპეციალისტი - ნ. ჯანჯარია.

6.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. საქონლის მოწოდებისას „შემსყიდველის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი ამოწმებს მოწოდებული საქონლის შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან, ხარვეზების (წუნდების) არ არსებობის შემთხვევაში ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტიურად მიღებული საქონლის მიხედვით „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის.

7.2. საქონელი მიღებულად ჩაითვლება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ პასუხისმგებლობა საქონელზე გადადის შემსყიდველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.01%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.01%-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს. შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

11. ხელშეკრულება ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

11.2 თუ რამე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულებების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დარჩენილი ვალდებულებების შესრლებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე ბოლო კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის განთავსების დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებისა და დაუდევრობისაგან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს- მაჟორული გარემოება. დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოებების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივ შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

16. სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და აქვს იურიდიული ძალა.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
შპს "ენგურჰესი"	**ი/მ „ლია გოგია“**
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი.	იურიდიული მის. ქ. ზუგდიდი.
ა. პოლიტკოვსკაიას №8	კედიას ქ. 21
სს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია''	სს ,,საქართველოს ბანკი“
ბ/კUGEBGE22 ს/კ 251716371	ს/კ 19001025253
ა/ა GE97VT6600000003403403	ა/ა GE53BG0000000196546300
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე	ინდ. მეწარმე
Levan Meboni a Подписано цифровой подписью: Levan Mebonia Дата: 2019.07.17 16:13:33 +04'00' ---------- **ლ. მებონია**	---------- **ლ. გოგია**

ვიზა:

ფინანსური დირექტორი Zviad Kilasonia Подписано цифровой подписью: Zviad Kilasonia Дата: 2019.07.17 13:57:09 +04'00'

შესყიდვების სამსახური Vakhtang Molashkhia Подписано цифровой подписью: Vakhtang Molashkhia Дата: 2019.07.12 15:43:19 +04'00'

იურიდიული სამსახური Medea Korsantia Подписано цифровой подписью: Medea Korsantia Дата: 2019.07.15 12:07:36 +04'00'

დანართი №1

საქონლის დასახელება

№	**საქონლის დასახელება**	განზ	რაოდ	ერთ. ფასი	საერთ. ფასი	კლასიფიკატორის კოდი
1	კარის საკეტი	ცალი	3	45	135	CVP-44521210
2	ბოქლომი	ცალი	3	9	27	CVP-33735100
3	დუბელი	ცალი	100	0,07	7	CVP-44192200
4	საჭრელი რგოლი (დისკი)	ცალი	1	8	8	CVP-14800000
5	საჭრელი რგოლი (დისკი)	ცალი	1	10	10	CVP-14800000
	ჯამი:				**187**	

შემსყიდველი
შპს "ენგურჰესი"
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

Levan Meboniа

Подписано цифровой подписью: Levan Mebonia
Дата: 2019.07.17 16:14:18 +04'00'

_____ ლ. მებონია

მიმწოდებელი
ი/მ "ლია გოგია"
ინდ. მეწარმე

_____ ლ. გოგია

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებთ, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 20 აპრილის № 194 დადგენილებით დამტკიცებული შპს „ენგურჰესი“-ს მიერ განსახორციელებელი საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის მე-6 მუხლის თანახმად, №324/19-4 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებით, ი/მ "ლია გოგია"-სთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შპს "ენგურჰესი"-ს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე	Levan Mebonia Подписано цифровой подписью: Levan Mebonia Дата: 2019.07.17 16:14:54 +04'00'	ლ. მებონია
შპს „ენგურჰესი“-ს შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის უფროსი	Vakhtang Molashkhia Подписано цифровой подписью: Vakhtang Molashkhia Дата: 2019.07.12 15:43:42 +04'00'	ვ. მოლაშხია
შპს ,,ენგურჰესი"-ს შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის სპეციალისტი	Nodar Janjaria Подписано цифровой подписью: Nodar Janjaria Дата: 2019.07.12 15:42:13 +04'00'	ნ. ჯანჯარია